

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ყოველწლიური მოხსენება

- გასული წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სასამართლო სისტემის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რაც უდავოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო.
- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ N 1 პრიორიტეტად განსაზღვრა სასამართლოთა განტვირთვა. გასული წლის განმავლობაში აქტიურად ვიმუშავეთ არსებული პრობლემის გადაჭრის მიზნით. კერძოდ, 2017 წელს გამოცხადებული მოსამართლეთა შესარჩევი 2 კონკურსის შედეგად, საერთო სასამართლოებში გამწესდა 55 ახალი მოსამართლე, 22 მათგანი თბილისის საქალაქო სასამართლოში. აღსანიშნავია საერთო სასამართლოების აპარატის თანამშრომელთა რაოდენობის ზრდა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს დაემატა 30 მწერალი თანამშემწე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს - 3, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს 7.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შეიქმნა 2 ახალი ვიწრო სპეციალიზაცია, კომერციული დავების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ონლაინ სესხებისთვის. შედეგად კომერციული დავების განხილვის ვადები საგრძნობლად შემცირდა, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სარჩელების კონკეტულ სპეციალიზაციაში გადატანით, განიტვირთა ვალდებულებითი სამართლის სპეციალიზაცია და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში უკვე დაფიქსირდა საქმეთა კლება.
ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეხვედრები საქართველოს ბიზნეს ასოციაციასთან და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან, სადაც განვიხილეთ ბიზნეს დავებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები.
- რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა დატვირთულობის შემცირების, საქმეთა დროულად განხილვის და მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლების მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტიური ჩართულობითა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავებულია საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტები. კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. ცვლილებები შეეხება ისეთ საკითხებს როგორც არის ერთპიროვნული და ზეპირი მოსმენის გარეშე განსახილველ საქმეთა წრის გაფართოვება, მაგისტრების განსჯადობის გაზრდა, სააპელაციო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციების შექმნის შესაძლებლობა და სხვა საპროცესო ცვლილებები, რაც ხელს შეუწყობს საქმეთა მზარდი ნაკადის მართვის გაუმჯობესებას.

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილების და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე უვადოდ გამწესდა 34 მოსამართლე, რომლებიც სამოსამართლო საქმიანობის 3 წლიანი გამოცდილების მიუხედავად, თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით იყვნენ გამწესებულები. მოსამართლეთა უვადოდ გამწესება ძალიან მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემის და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის გაძლიერების პროცესში. მოსამართლეთა უვადოდ გადანიშნვის პროცესს იუსტიციის უმაღლესი საბჭო 2018 წლის განმავლობაშიც გააგრძელებს.
- მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა ანგარიშვალდებულების მიმართულებით. სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ აირჩია დამოუკიდებელი ინსპექტორი, რომელიც გასული წლის ბოლოდან შეუდგა საქმიანობას. დამოუკიდებელი ინსპექტორი უზრუნველყოფს დისციპლინური სამართალწარმოების ობიექტურად და მიუკერძოვებლად წარმართვას.
- 2017 წლის 1 ივლისიდან რუსთავის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 2018 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს ყველა სასამართლოში ამოქმედდა საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების სისტემა. ვფიქრობთ სისტემა ხელს შეუწყობს სასამართლოსადმი ნდობის ამაღლებას და სრულად მოიხსნება საქმეთა რიგითობის წესით განაწილების პროცესში არსებული კითხვები.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების გატარების მიზნით. შემუშავდა პირველადი კონცეფცია, რომლის მიხედვით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული შენობა გათვლილი იქნება 130 მოსამართლეზე, 1000-მდე დასაქმებულზე და ყოველდღიურად 4000-მდე ვიზიტორზე. შენობაში განთავსდება 80-ზე მეტი სხდომის დარბაზი. ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა უზრუნველყოფს როგორც მოსამართლეთა, ასევე აპარატის თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას.
- მნიშვნელოვანია მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის სამართლებრივი და ორგანიზაციული გაუმჯობესების თვალსაზრისით განხორციელებული აქტივობები. გასულ წელს, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, საექსპერტო კომისიის წევრობის კანდიდატებს ჩაუტარდათ ტრენინგის თეორიული და პრაქტიკული ნაწილი საგამოცდო ტესტის შექმნის მეთოდოლოგიაში. ამ ეტაპისათვის დარჩენილია მხოლოდ ექსპერტთა სერტიფიკაციის პროცესი. საექსპერტო კომისიის წევრთა მომზადების დასრულება იგეგმება მიმდინარე თვის ბოლოს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დახვეწის მიზნით, რაზეც იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახლო მომავალში იმჯელებს.

- გასული წლის განმავლობაში, საზოგადოებასთან ურთიერთობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საერთო სასამართლოებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო. შესაბამისად, დაიწყო საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება, რაც დღეისათვის ბოლო ფაზაშია და იუსტიციის უმაღლესი საბჭო აქტიურად შეუდგება მის განხორციელებას.
- განვხორციელეთ ცვლილებები მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების მიმართულებით, შედეგად მოსამართლეს თანამდებობრივ სარგოზე კვარტალური დანამატის ნაცვლად განესაზღვრათ ყოველთვიური დანამატი. დაგეგმილია მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების საკითხის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება და დანამატისა და თანამდებობრივი სარგოს გაერთიანება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან გამომდინარე, სასამართლოების აპარატის მოხელეების თანამდებობრივ სარგოს დაემატა ყოველკვარტალური დანამატი.